

საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

ფინანსური პირამიდების სქემა საქართველოში

www.sab.ge

ფინანსური პირამიდების სქემა საქართველოში

საქართველოში ფინანსური განათლების დაბალი დონე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ეს გამოიხატება იმაში, რომ მომხმარებელი პროდუქტის პირობას არ ეცნობა და ხელშეკრულებას ისე აწერს ხელს. მნიშვნელოვანია ფინანსური პარტნიორის სწორად შერჩევაც და დაზოგვის კულტურის წახალისება. მოსახლეობისთვის უცხოურ ვალუტაში, კერძოდ კი აშშ დოლარში თანხის დაგროვება პრიორიტეტულია. ეს დოლარიზაციის მაღალ მაჩვენებელზე აისახება.

დღითი დღე იზრდება იმ კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც მოსახლეობას საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე დაახლოებით 5-ჯერ მეტ სარგებელს სთავაზობს. „საზოგადოება და ბანკები“ დაინტერესდა, თუ რამდენად სანდოა და კანონიერი მსგავსი საქმიანობა და რამდენად არის დაცული მომხმარებლის უფლებები, როგორია საერთაშორისო გამოცდილება და ზოგადად რა რისკებს შეიცავს მსგავსი ტიპის ინვესტიციები.

საბანკო სექტორი მომხმარებელს მრავალფეროვან სადეპოზიტო პროდუქტს სთავაზობს. მათი საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთია:



წყარო: nbg.gov.ge

ბოლო პერიოდში ბევრი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) დაარსდა, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ მოსახლეობის იმ ნაწილთან, რომელსაც მაღალი სარგებლის მიღება სწრაფად სურს. მომხმარებელთა მოსაზიდად აგრესიულ მარკეტინგულ კამპანიას ეწევიან, რომლის მთავარი გზავნილებია: მომხმარებლების რაოდენობის სწრაფი ზრდა, დაბანდების საიმედოობა, გამოცდილება, მოზიდული მრავალმილიონიანი ინვესტიციები. შედეგად ვიღებთ მზარდ ბიზნესსექტორს, რომელიც კანონმდებლობით სრულყოფილად არ რეგულირდება. მსგავსი კომპანიები მომხმარებელს ლარში ინვესტირების შემთხვევაში საშუალოდ წლიურ 24-33%-ს, ხოლო აშშ დოლარში 13-33% სარგებელს სთავაზობენ.

ოთხმოცდაათიანი წლების ბიზნესმოდელმა, რომელიც ე.წ „პირამიდის სისტემაზე“ იყო აწყობილი, საქართველოს არაერთი მოქალაქე დააზარალა, მათ სრულად დაკარგეს დანაზოგი. არაინფორმირებული და გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელისთვის საკმაოდ რთულია თაღლითური სქემის ამოცნობა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. სწრაფად გამდიდრების მსურველთა ეჭვებს აბათილებს ის, რომ კომპანიები დღეის მდგომარეობით ახერხებენ მიღებული თანხების მომხმარებლისთვის უკან დაბრუნებას.

საინტერესოა თავად ბიზნესის სტრუქტურა, რომელიც ყოველ მომდევნო შენატანზეა დამოკიდებული. როდესაც მომხმარებელი განათავსებს დანაზოგს, წინასწარ ირჩევს ხელშეკრულების ვადას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვადის გასვლამდე თანხის დაბრუნება შეუძლებელია. ეს პუნქტი არის ე.წ.„პირამიდა სისტემის“ მთავარი მამოძრავებელი ძალა. ყოველი შემდგომი მომხმარებლის შემოტანილი თანხის ხარჯზე ხდება არსებული კლიენტისთვის სარგებლის გაცემა. როგორც კი რომელიმე მსგავსი

კომპანია ვერ შეძლებს თანხის უკან დაბრუნებას, წარმოიქმნება მასშტაბური პრობლემა. ყველა ის ადამიანი, რომელიც სარგებლობს მათი მომსახურებით, მოინდომებს საკუთარი დანაზოგის უკან დაბრუნებას, რაც შეუძლებელი იქნება. კომპანიის გამოცდილება რისკებს არ ამცირებს, პირიქით, გაკოტრების შემთხვევაში მასშტაბს ზრდის.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს პრობლემა და არ დაზარალდნენ ის მომხმარებლები, რომელთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, აუცილებელია გარკვეული რეგულაციების შემოღება. არ არსებობს არანაირი სტატისტიკური მონაცემი, თუ რამდენი ადამიანი სარგებლობს მსგავსი ტიპის მომსახურებით, რამდენი ასეთი კომპანია არის რეგისტრირებული და მომხმარებელთა რა ოდენობის დანაზოგს განკარგავს ეს სექტორი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი გახმაურებული თაღლითური სქემა ბერნარდ მედოფის საქმე იყო. 71 წლის ბიზნესმენს უმაღლესი სასჯელი 150 წლიანი პატიმრობა მიესაჯა, კონფისკაცია გაუკეთდა მისი და მისი მეუღლის ქონებას, თუმცა საბოლოო ზარალმა მილიარდობით აშშ დოლარი შეადგინა. საწყის ეტაპზე ინვესტორებში 12%-იანი სარგებელი ეჭვის საფუძველს არ იწვევდა, რადგან გავლენიანი ფინანსისტი, სააქციო ფონდის Nasdaq-ის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო, ხოლო მისი საინვესტიციო ფონდი International Securities Clearing წლების განმავლობაში წარმატებული ბიზნესის ათეულში ხვდებოდა. ბერნარდის ბიზნესმა 2008 წლის მსოფლიო კრიზისს ვერ გაუძლო და ჩამოიშალა. მრავალი წარმატებული კომპანია და ათასობით ფიზიკური პირი გაკოტრდა.

საქართველში მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მსგავსი „პირამიდა ბიზნესი“ ითვლება კრიმინალურ საქმიანობად და ისჯება კანონით. რეგულირდება მათ მიერ მომზადებული სარეკლამო რგოლები, რათა დაცული იყოს მომხმარებელთა უფლებები.

მომხმარებელმა აუცილებელია იცოდეს ის საეჭვო ნიშნები, რაც აერთიანებს ყველა თაღლითურ ბიზნესს:

- ფინანსური პირამიდის სქემა პირველ რიგში აზარალებს მოსახლეობის დაბალ და საშუალო ფენას, რომელსაც აქვს ფინანსური განათლების დაბალი მაჩვენებელი

- საფინანსო ინსტიტუტის შეთავაზება უნდა შეესაბამებოდეს ბაზრის პირობებს

- პირამიდულ სისტემაზე აწყობილი ბიზნესის სწრაფი განვითარება და აგრესიული მარკეტინგი ხშირ შემთხვევაში იმის მაჩვენებელია, რომ კომპანია გაკოტრების პირასაა

მომხმარებელთა უფლებების დასაცავად აუცილებელია ფინანსური განათლების დონის ამაღლება, ასევე მსგავსი საქმიანობის კრიმინალიზაცია და კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცევა.

www.sab.ge